ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №165

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ ა(ა)იპ- „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი" დირექტორი ირაკლი ბერიძე (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „უნიფორმა პლუსი" დირექტორი ვაჟა ბერიძე (შემდგომში „მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. 50 ცალი კომბინირებული ხელთათმანი ზამშის (შემდგომში საქონელი) CPV კოდი: 18141000 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 200 (ორას) ლარს და 00 თეთრს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. №27.
5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 29 დეკემბრიდან 2015 წლის 30 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირთა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობას შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს წინასწარ.
7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 29 დეკემბრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე.

ა(ა)იპ " ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი"
ქ.ბათუმი, ლადო ასათიანის ქ. №27
საიდენტიფიკაციო კოდი: 245602110
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ანგარიშიN GE24NB03301002001

დირექტორი: /ი. ბერიძე/

შემსყიდველი

შპს „უნიფორმა პლუსი"
მის. ქ ბათუმი, პუშკინის №56
საიდ.კოდი: 445400110
ს.ს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი MIBGGE22
ანგარიში №GE27PC0343600100014754

დირექტორი: /ვ. ბერიძე/

მიმწოდებელი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 29 დეკემბერი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ - „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი”-ს დირექტორი ირაკლი ბერიძე და მიმწოდებელი შპს „უნიფორმა პლუსი” დირექტორი ვაჟა ბერიძე ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა გამარტივებულ შესყიდვის განხორციელებაში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №165 (29.12.2015წ) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ- „ბათუმის სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრი”-ს
დირექტორი:

ირაკლი ბერიძე

შპს „უნიფორმა პლუსი”
დირექტორი:

ვაჟა ბერიძე

UNIFORMA PLUS
445400115
GEORGIA. LIMITED